თბილისის რესტორნების წარმოშობის და განვითარების ისტორია

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი „მშენებლობა“ 2021წ. #2(58)

გიორგი წულუკიძე, ვაჟა ტარასაშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. 77, 0175 თბილისი-საქართველო

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

რეზიუმე: თემის მიზანია საქართველოში და კონკრეტულად თბილისის მაგალითზე რესტორნების წარმოშობის ისტორიის მიმოხილვა, მათზე შეგროვილი ინფორმაციის მიწოდება მკითხველთათვის, რაც თავის მხრივ წარმოადგენას შეუქმნის მის არქიტექტურულ ევოლუციაზე.

სიტყვა „რესტორანი“ – ფრანგული სიტყვაა. Restourant – ფრანგული ზმნისგან – restourer-გან მომდინარეობს და იგი აღდგენას, რესტავრირებას ნიშნავს.

ყველაფერი კი დაიწყო იქიდან, რომ ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად ადამიანებმა დაიწყეს მოგზაურობა, ვაჭრობა. ამან კი საჭირო გახადა ვაჭრებისა და მოგზაურებისათვის ისეთი ადგილების - დაწესებულების გაჩენა სადაც ეს ადამიანე-ბი შეძლებდნენ დასვენება და გამოკვებას. ამ მიზნით გაჩნდა „რესტორნის“ წინამორ-ბედები „დუქანი“, „ტავერნა“, „ტრაქტირი“, „ქარვასლა“, „ჩაიხანა“, „ყავახანა“ და სხვა. ისტორიული ცნობებით პირველი „რესტორატორები“ ჩინელები იყვნენ. საქართველოში რესტორნის წინამორბედი ისტორიულად იყო დუქანი, ყავახანა, ქარვასლა (ან ქარავანსარაი).

ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში ვაჭრობის და მოგზაურობის განვითარებამ საქართველოშიც აუცილებელი გახადა ისეთი დაწესებულებების გახსნა, სადაც ჩამოსული ადამიანი მოახერხებდა დასვენებას და გამოკვებას. ამ მიზნით გზებზე და ქალაქებში იხსნებოდა დუქნები თანამედროვე რესტორნების წინამორბედები.

VI საუკუნის დასაწყისში ვახტანგ გორგასლის მემკვიდრემ დაჩი I-მა უჯარმელმა დაამთავრა თბილისის ზღუდე-გალავნის მშენებლობა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი

სავაჭრო გზები აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და წინა აზიისკენ. თბილისი თანდათან შუა აღმოსავლეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. ამან კი განაპირობა ქალაქში დუქნების, ყავახანების, ქარვასლების რაოდენობის გაზრდა.

ქარვასლები ძირითადად თბილისში კალას უბანში იყო თავმოყრილი. ამ ტიპის ნაგებობისთვის დამახასიათებელი იყო შიდა ეზო, რომელშიაც გამოდიოდა ხის ან რკინის აივნები. ეს უკანასკნელი შენობას გარს უვლიდა დღევანდელ დღემდე შე-მორჩენილ ქარვასლათა შორის ყველაზე ძველია ე.წ. არწრუნის ქარვასლა, რომელიც სიონის ქ. #8-ში მდებარეობს.

1818 წელს თბილისის მოქალაქემ გეგორქ არწრუნმა, XVII-ს-ში როსტომ მეფის მიერ აგებული ძველი ქარვასლის ფუნდამენტზე ააგო დიდი ქარვასლა, რომელიც დღემდე არწრუნის ქარვასლად მოიხსენიება. ქარვასლაში ყოფილა სასტუმრო 30 ნომრით, 24 სავაჭრო და სასაწყობო სათავსო.

1847 წელს თბილისში დაიწყო იმ დროის ყველაზე დიდი ქარვასლის მშენებ-ლობა, რომელიც ისტორიაში თამამაშევის ქარვასლა-თეატრის სახელით შევიდა.

1858 წელს თბილისის ქარვასლებს შეემატა ჩითხევის, უსტა-მეჰტის, ჰუსეინ-ოღლის და ჰალატოვის ქარვასლები მეიდანში.

2009 წლის 20 ნოემბრის პრეზიდენტის ბრძანებულებუთ თბილისის ქარვასლას მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

„დუქანი“– არაბული სიტყვაა და სავაჭრო სახლს, სახელოსნოს ნიშნავს. XVII-XVIII საუკუნეებში ქულბაქი და დუქანი სინონიმები იყო დასავლეთ საქართველოში დუქანი XIX საუკუნეში დამკვიდრდა, XVII-XVIII საუკუნეებში აქ იმავე მნიშვნელო-ბით იხმარებოდა „ხულა“. დუქნები არა მარტო სახელოსნო-სავაჭრო ფუნქციას ასრულებდნენ, არამედ ხშირ შემთხვევაში იქვე გახსნილი იყო სასადილო და ზოგჯერ სასტუმროც კი – ამ უკანასკნელს, როგორც დუქანხანს ისე მოიხსენიებდნენ.

ქალაქის დუქნები ერთი ქუჩის პირზე ჩარიგებულ შენობებს წარმოადგენდა და არქიტექტორული თვალსაზრისით საკმაოდ მოწესრიგებული იყო. იმ პერიოდისთვის ინტერიერს განსაკუთრებული ყურადღება არ ექცეოდა და დუქნებიც დიდად არ განსხვავდებოდა ამ ნიშნით ერთმანეთისგან.

არქიტექტორული თვალსაზრისით დუქნები იყო სხვადასხვა სახის მაგალითად: ორსართულიანი, დუქანი – საცხოვრებლით, დარაბებიანი დუქანი და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო ქვითკირის დუქანი, ხოლო დასავლეთ საქართველოსთვის ხის.

ამჟამინდელი გორგასლის ქუჩის გასწვრივ, თათრის მოედანთან ყოფილა სასადილო რიგი, რომელიც ქოაბხანის სახელით მოიხსენიებოდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში თბილისური დუქნები ტრაქტირებმა შეცვალა. აქ ევროპულად გაზრდილი თბილისელები და უცხოელი სტუმრები ქართულ კერძებთან ერთად ევროპულ კერძებს აგემოვნებდნენ.

ერევნის მოედანზე იდგა ანტუან მატისის ტრაქტირი, რომლის უკანაც სოლოლაკის ბაღები იწყებოდა.

ზუბალაშვილების სახლში გახსნილი იყო კარლო მორიკის ტრაქტირი. აქაურობის სავიზიტო ბარათი ვერცხლის ჭურჭლით გაწყობილი სუფრა იყო.

სამწუხაროდ ისტორიამ არ შემოინახა ცნობები ამ პერიოდის თბილისის და საქართველოს დუქნებისა და ტრაქტირების ინტერიერის შესახებ. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი შეესაბამებოდა ეპოქას და ვითარდებოდა ევროპის კვალდაკვალ. იქ წასული სასწავლებლად ქართველი ახალგაზრდებისა და ევროპიდან და აზიიდან ჩამოსული მოგზაურების, ვაჭრებისა და უბრალოდ სტუმრების ხელშეწყობით.

1907 წელს თბილისში რუსთაველის გამზირზე ქართული უალკოჰოლო სასმელების პირველი გაფე-რესტორანი „ლაღიძის წყლები“ გაიხსნა. ის ძალიან მალე გადაიქცა დედაქალაქის სავიზიტო ბარათად. მიტროფანე ლაღიძის მიერ შექმნილი უნიკალური რეცეპტებით დამზადებული სასმელების დასაგემოვნებლად აქ შევხვდებოდით ყველას მოხუცს და ახალგაზრდას, სტუდენტს და პროფესორს, მწერალს და მსახიობს, ტურისტს და ადგილობრივს. აქვე იყიდებოდა უმაღლესი ხარისხის, ძალიან გემრიელი სხვადასხვა სახის ხაჭაპური. ეს კაფე 90-იან წლებში დაიკეტა და ძალიან დააკლდა ქალაქს.

მე-20 საუკუნის დასაწყისში პარიზის კაფე-კლუბების კვალდაკვალ თბილისშიც გაიხსნა კაფე-კლუბები. აქ იყო ცისფერყანწელების, სიმბოლისტების, ფუტურისტების და სხვათა შეკრების ადგილი.

1917 წელს ქალაქის ცენტრში გაიხსნა კაფე „ფანტასტიკური სამიკიტნო“, რომლის ინტერიერს ამშვენებდა ლადო გუდიაშვილის, იაკობ ნიკოლაძის და რუსი მხატვრის პეტრაკოვსკის ნახატები. ამ კაფეში ილია ზდანევიჩმა, იგორ ტერენტიევმა და ალექსი კრუჩიხინმა ფუტურიზმის შემსწავლელი კურსები გახსნეს. აქ იკითხებოდა ლექციები ზაუმური პოეზიის შესახებ.

ამ პერიოდის კაფე-რესტორნებიდან გამორჩეულია რამოდენიმე და ამ რამოდენიმეს შორის ყველაზე გამორჩეულია რესტორანი „ანონა“, „ქიმერიონი“. ეს კაფე-რესტორანი გახსნილი იყო დღევანდელი რუსთაველის თეატრის და მაშინდელი „საარტისტო საზოგადოების“ შენობის სარდაფში.

რესტორანი „ანონას“ მესაკუთრე ვინმე ი. ტ. ბონდარენკო ყოფილა. 1919 წელს ქართველი მწერალთა კავშირმა ქალაქის გამგეობისგან ეს შენობა შეიძინა და იქ კაფე-რესტორანი-კლუბი „ქიმერიონი“ გახსნა, სახელი ვალერი გაფრინდაშვილის ლექსიდან აუღიათ. ამ კაფე-რესტორნის ინტერიერს ამშვენებდა გამოჩენილი მხატვრების ლადო გუდიაშვილის, სუდეიკინის, თოიძეების ნახატები. ეს კაფე იყო ცისფერყანწელების თავშეყრის საყვარელი ადგილი.

XX საუკუნის დასაწყისში სახაზინო თეატრის, დღევანდელი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სკვერში 1918 წელს გაიხსნა კაფე-რესტორანი „DE L’OPERA“, რომლის ძირითადი მიზანი იყო შემოსავლის 10%-ის განათლების საჭიროებისთვის დახარჯვა.

თბილისთან ახლადშემოერთებული ვაკეში, მაშინდელი წყნეთის ქუჩაზე, დღეს ილია ჭავჭავაძის გამზირზე მდებარეობდა ინგლისური რესტორანი ვაკეში. ამ რესტორნის რეკლამას ვხვდებით ელისაბედ ორბელიანის თაოსნობით გამოცემული ინგლისურენოვანი გაზეთის „The Georgian Messenger“-ის 1919 წლის 25 მაისის ნომერში.

1918 წლის 14 ივლისს პუშკინის ქუჩაზე ძველი სემინარიის შენობაში გაიხსნა რესტორანი „საქართველო“ (ყოფილა ამირანი“). ამ რესტორანში წარმოდგენილი იყო როგორც აზიური, ასევე ევროპული სამზარეულო.

კაფე „პარიზი“– 1919 წლის 14 მარტს გაიხსნა სასახლის ქუჩაზე, დღევანდელი რუსთაველის გამზირზე. ეს კაფე-რესტორანი პირველი ხარისხის რესტორანი ყო-

ფილა, რომელთანაც ფუნქციონირებდა საგანგებო ყავა-ხანა. რესტორნის მეპატრონე ვინმე გვათუა გახლდათ.

1918 წელს გახსნილა რუსთაველის ქ. #16-ში ოფიცერთა სახლის სარდაფში კაფე-რესტორანი „არგონავტების ნავი“. ეს რესტორანი იყო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამოქცეული რუსი პოეტების თავშეყრის ადგილი. ეს კაფე იმითაც იყო გამორჩეული, რომ მის ინტერიერს ამშვენებდა ლადო გუდიაშვილის კირილე ზდანევიჩის და ყაჟბეუქ-მელიქოვის ნახატები. (ფოტო)

რესტორანი-სასადილო „იმედი“. ამ სასადილოს სათავეში ედგა „ქალთა წრე“. თურმე ამ რესტორანში „ინტიმური საღამოები“ იმართებოდა კაბარე საღამოს 9 საათზე იწყებოდა და ღამის 3 საათამდე გრძელდებოდა.

ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე გახსნილი იყო პირველი კლასის რესტორანი „კარა დიდო“. კერძებიდან აქ იყო როგორც აზიური ასევე ევროპული კერძები. უკრავდა ორკესტრი სოლისტ-მევიოლინე შლიფერის ხელმძღვა-ნელობით.

რესტორანი „26 მაისი“ – 1919 წელს გაიხსნა რუსთაველის გამზირის 30 ნომერში. რესტორნის ადმინისტრაცია კლიენტებს საღამოობით სიმფონიური ორკესტრის მოსმენას სთავაზობდა მაესტრო გაჯინის ხელმძღვანელობით.

სამწუხაროა, რომ IX-XX საუკუნის დასაწყისის პერიოდის რესტორნებე მხოლოდ მოკლე, მშრალი ისტორიული ცნობებით შეგიძლიათ იმსჯელოთ ძირითადად გაზეთებიდან შემორჩენილი რეკლამების მეშვეობით, სადაც არ არის ინფორმაცია რესტორნების ინტერიერის შესახებ, მისი დიზაინის და არქიტექტურის შესახებ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მათი ძირითადი ნაწილი განადგურებული იქნა ან დაანგრიეს შენობები, ან სრულიად შეუცვალეს იერ-სახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ძველი თბილისის 10 კაფე-რესტორანი-იმედი „ნიუსი“

2.ღვინის რესტორანი ისტორიულ მოტივებზე-სალომე ქუჩიშვილი

3.თბილისის რესტორნები- ვიკიპედია

4.„კუთხე-კუნჭული“ -ბაყალი ანუ დუქანი- მარიამ გაფრინდაშვილი

5.თბილისის ქარვასლა- ვიკიპედია

History of origin and development of restaurants in Tbilisi

Giorgi Tsulukidze, Vazha Tarasashvili

(Georgian Technical University, 77 M. Kostava St., 0175 Tbilisi, Georgia)

Faculty of architecture, urbanism and design

Summary

The purpose of the topic is to take Tbilisi as an example in order to review the history and origination of restaurants in Georgia, to supply readers with the gathered information, which in return will familiarise them with their architectural evolution.